

საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების სამინისტრო



# უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2025



# სარჩევი

შესავალი .....	5
კვლევის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, მეთოდოლოგია და შერჩევა .....	6
კვლევის მიზანი .....	7
კვლევის ობიექტი .....	7
კვლევის ამოცანები .....	7
კვლევის ანგარიში .....	9
სექცია 1: ძირითადი ინფორმაცია სამუშაო ძალის სტრუქტურისა და მახასიათებლების შესახებ .....	9
სექცია 2 - დასაქმებულთა უნარების შეფასება .....	22
სექცია 3 - ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ .....	25
სექცია 4 - მოთხოვნა სამუშაო ძალაზე .....	39
სექცია 5 - სამუშაო ძალის განვითარება .....	47
სექცია 6 - პროფესიული განათლება .....	54
სექცია 7 - დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები .....	61
სექცია 8 - პირველი სამუშაოს მაძიებლები .....	66
სექცია 9 - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება .....	67
დიაგრამა 1 დასაქმების სტრუქტურა (2023-2024 წწ 1 სექტემბრის მდგომარეობით) .....	9
დიაგრამა 2 დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომისა და განათლების მიღწეული დონის მიხედვით .....	10
დიაგრამა 3 დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით .....	10
დიაგრამა 4 დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით (2024) .....	11
დიაგრამა 5 დასაქმებულთა განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით .....	12
დიაგრამა 7 საშუალო თვიური ხელფასი რეგიონების მიხედვით (2024) .....	13
დიაგრამა 8 საშუალო თვიური ხელფასი ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (2024) .....	13
დიაგრამა 9 საშუალო თვიური ხელფასი ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით ..	14
დიაგრამა 10 საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა განაწილება სქესის, საწარმოთა ზომისა და რეგიონების მიხედვით .....	16
დიაგრამა 11 მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა წილი ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით .....	17
დიაგრამა 12 მომდევნო 5 წლის განმავლობაში პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა წილი სქესის, საწარმოთა ზომისა და რეგიონების მიხედვით .....	19
დიაგრამა 13 პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა წილი დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 08) ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით .....	20
დიაგრამა 14 სამუშაო გამოცდილების მინიმალური ხანგრძლივობა, რომელიც მოეთხოვება დასაქმების მსურველს საწარმოში სამუშაოს განსახორციელებლად .....	23

დიაგრამა 15 დასაქმებულთა უნარების ზოგადი შეფასება .....	23
დიაგრამა 16 ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც ტარდება დასაქმებულთა უნარებთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად .....	24
დიაგრამა 17 ვაკანსიების მქონე საწარმოთა განაწილება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით .....	25
დიაგრამა 18 ვაკანსიების მქონე საწარმოების სვედრითი წილი საწარმოთა ზომის მიხედვით..	26
დიაგრამა 19 ბოლო 1 წლის განმავლობაში, საწარმოების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება (საწარმოთა ზომა, რეგიონი) .....	27
დიაგრამა 20 ბოლო 1 წლის განმავლობაში, საწარმოების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება სექტორების მიხედვით .....	27
დიაგრამა 21 ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო თვიური ხელფასი (სექტორების მიხედვით) .....	30
დიაგრამა 22 ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო თვიური ხელფასი (ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით) .....	30
დიაგრამა 23 შეუსვებელი ვაკანსიების განაწილება (საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით) .....	31
დიაგრამა 24 შეუსვებელი ვაკანსიების განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით .....	33
დიაგრამა 25 ვაკანსიების შეუსვებლობის მიზეზები.....	35
დიაგრამა 26 ახალი კადრის მოძიების წყაროები .....	36
დიაგრამა 27 აპლიკანტთა შეფასების გზები .....	36
დიაგრამა 28 რომელ კანდიდატებს აქვთ უპირატესობა .....	37
დიაგრამა 29 გესაჭიროებათ თუ არა აპლიკანტის მიერ უცხო ენის ფლობა? .....	37
დიაგრამა 30 რა ზომებს მიმართა საწარმომ ვაკანსიის შევსებასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად.....	38
დიაგრამა 31 მომდევნო 1 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა და მათი განაწილება (საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით) .....	39
დიაგრამა 32 დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა მომდევნო 1 წლის განმავლობაში (ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით) .....	40
დიაგრამა 33 ზრდის ტემპი მომდევნო 1 წლის განმავლობაში, ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით .....	41
დიაგრამა 34 მომდევნო 5 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა და მათი განაწილება (საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით) .....	42
დიაგრამა 35 მოსალოდნელი ზრდა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (5 წელი) ...	43
დიაგრამა 36 დასაქმებულთა მოსალოდნელი შემცირება ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით (1 წელი) .....	45
დიაგრამა 37 დასაქმებულთა მოსალოდნელი კლება ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით (5 წელი) .....	46
დიაგრამა 38 დასაქმებულთა გადამზადებაში ჩართული საწარმოების განაწილება სექტორებისა, რეგიონებისა და საწარმოთა ზომის მიხედვით .....	47
დიაგრამა 39 საწარმოების მიერ თანამშრომელთა გადამზადების წილი (საწარმოთა ზომის მიხედვით) .....	48
დიაგრამა 40 საწარმოების მიერ თანამშრომელთა გადამზადების წილი (სექტორების მიხედვით) .....	48

დიაგრამა 41 გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა (რეგიონის, საწარმოთა ზომის, სექტორების მიხედვით) .....	49
დიაგრამა 42 გადამზადებულ თანამშრომელთა წილი სექტორების მიხედვით .....	50
დიაგრამა 43 დასაქმებულთა არგადამზადების მიზეზები .....	50
დიაგრამა 44 დაფინანსებული ტრენინგები სფეროების მიხედვით .....	51
დიაგრამა 45 დასაქმებულთა მოტივაციის მექანიზმები .....	51
დიაგრამა 46 აქვს თუ არა საწარმოს სტრატეგია/გზამკვლევი თანამშრომელთა გადამზადების მიმართულებით .....	52
დიაგრამა 47 ფლობენ თუ არა ინფორმაციას „დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს“ სახელმწიფო პროგრამის შესახებ .....	53
დიაგრამა 48 საწარმოში დასაქმებისთვის საჭირო განათლების მიღწეული დონეები .....	54
დიაგრამა 49 პროფესიული განათლების მქონე პირთა დამსაქმებელ საწარმოთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით (%).....	55
დიაგრამა 50 პროფესიული განათლების მქონე პირთა დამსაქმებელ საწარმოთა განაწილება სექტორების მიხედვით .....	55
დიაგრამა 51 პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის, რეგიონის, სექტორების მიხედვით .....	56
დიაგრამა 52 პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა შეფასება .....	57
დიაგრამა 53 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ტიპები .....	58
დიაგრამა 54 პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ფორმატში დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკურისაქმიანობების სახეების მიხედვით .....	58
დიაგრამა 55 პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულის გადამზადების საჭიროება .....	59
დიაგრამა 56 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამომავლო თანამშრომლობა .....	59
დიაგრამა 57 სამომავლო თანამშრომლობის სასურველი ტიპები .....	60
დიაგრამა 58 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სანდოობის შეფასება .....	60
დიაგრამა 59 სად უნდა იყოს სახელმწიფოსათვის ინვესტიციების ჩადება პრიორიტეტული .....	61
დიაგრამა 60 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით .....	62
დიაგრამა 61 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით .....	63
დიაგრამა 62 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით .....	64
დიაგრამა 63 უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დასაქმების ძირითადი მიზეზები .....	64
დიაგრამა 64 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები (ადგილობრივ ბაზარზე საჭირო კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის არარსებობა).....	65
დიაგრამა 65 პირველი სამუშაოს მაძიებლები განათლების მიღწეული დონის მიხედვით.....	66
დიაგრამა 66 საწარმოების წილი, რომლებიც იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს საწარმოთა ზომების მიხედვით.....	67
დიაგრამა 67 საწარმოების წილი, რომლებიც იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით.....	68
დიაგრამა 69 ტექნოლოგიებში მოსალოდნელი ინვესტიციების ხვედრითი წილი .....	69

## შესავალი

დასაქმების ზრდა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და იგი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. შესაბამისად, ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მიზნით, შრომის ბაზრის ანალიზს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ტენდენციების შესწავლასა და მის წინაშე არსებული გამოწვევების გამოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩატარდა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა - 2024“, რომლის მიზანია ადამიანისუფლებების კაპიტალის უნარებზე საწარმოების მოთხოვნის გამოვლენა, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრას.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის“ ანალიზს, რომელშიც მოცემულია 2023-2024 წლებში დასაქმების სტრუქტურა დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 08) პროფესიული ჯგუფების), ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების (NACE rev. 2), რეგიონების, საწარმოთა ზომების, განათლების მიღწეული დონეების (საშუალო, პროფესიული და უმაღლესი) და სქესის მიხედვით.

ანგარიშში ასევე წარმოდგენილია გამოწვევები, რომლებიც თან ახლავს პროფესიული ჯგუფების მიხედვით სამუშაო ძალის მოძიებას. კვლევა აანალიზებს, თუ რა წყაროზე დაყრდნობით აჰყავთ საწარმოებს ადამიანები, რა უნარები აკლიათ აპლიკანტებს და რა ზომებს მიმართავენ საწარმოები სამუშაო ძალის უნარების განვითარების კუთხით. კვლევა ასევე ავლენს ახალი თანამშრომლების დაქირავების შესაძლებლობებს, არსებული ვაკანსიების რაოდენობას, სამუშაო ძალის მოთხოვნის ზრდისა და შემცირების ტენდენციებს, მათ გამომწვევ მიზეზებს, საწარმოებში პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების მაჩვენებელს, პროფესიულ სასწავლებლებთან კომპანიების თანამშრომლობის ფორმებს, მათ დამოკიდებულებას პროფესიული სწავლების მიმართ, უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების ტენდენციებს, მათი დასაქმების გამომწვევ მიზეზებს, საწარმოთა განწყობას პირველი სამუშაოს მაძიებელი პირების მიმართ, საწარმოთა მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების და აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაო ძალაზე შესაძლო მოთხოვნის ზრდას ან შემცირებას. კვლევაში, ასევე გამოვლენილია საწარმოების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და აღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესაძლო ზრდის ან შემცირების ტენდენციები.

## კვლევის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, მეთოდოლოგია და შერჩევა

2017 წლიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ახორციელებს „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევას“, რომლის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO), ევროპის საგანმანათლებლო ფონდისა (ETF) და პროფესიული განათლების განვითარების ევროპული ცენტრის (CEDEFOP) მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოს. კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, ასევე მომზადებულია პარტნიორ უწყებებთან თანამშრომლობის ფორმატში.

სამინისტრო „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევას“ ახორციელებს როგორც ეკონომიკის ყველა სექტორის მოცვით, ასევე ცალკეული ეკონომიკური სექტორების შესწავლით. სექტორულ ჭრილში დღემდე სამინისტროს განხორციელებული აქვს ტურიზმის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ენერჯეტიკის და მრეწველობის სექტორების უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევები.

წინამდებარე კვლევა ეკონომიკის ყველა სექტორის კვლევას ახორციელებს. მის ჩასატარებლად შემუშავდა შესაბამისი კითხვარი, შემთხვევითი სტრატეგიული შერჩევის მეთოდის გამოყენებით განხორციელდა გამოსაკვლევ საწარმოთა შერჩევა საწარმოს ზომის, ეკონომიკურ საქმიანობათა სახეებისა (NACE Rev.2) და რეგიონების მიხედვით. კვლევის გენერალური ერთობლიობას წარმოადგენს საქართველოში მოქმედი არა ფინანსური და ფინანსური კორპორაციების მონაცემთა ბაზა.

იმისათვის, რომ ეკონომიკურ საქმიანობათა კლასიფიკატორით (NACE Rev.2) განსაზღვრული სექციების დონეზე მიღებული კვლევის შედეგების ცდომილება არ აღემატებოდეს 1.69%-ს, ხოლო მთლიანად, ქვეყნის მასშტაბით გამოკვლევის ცდომილება არ აღემატებოდეს 0.53%-ს და ამასთან, კვლევის შედეგების გაციფრულების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს კვლევის შედეგების არანაკლებ 90%-იანი სანდოობა, ქვეყნის მასშტაბით ინტერვიუს განსახორციელებლად შეირჩა 10,100 საწარმო. აღნიშნული საწარმოები შერჩეული იქნა საქსტატში არსებული ბიზნეს რეგისტრიდან. გარდა ამისა, 1,100 საწარმო შერჩეული იქნა, როგორც სარეზერვო საწარმოები, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ზუსტად 10,100 საწარმოსგან ინფორმაციის შეგროვება.

კვლევის ფარგლებში, მსხვილი (589 საწარმო) და საშუალო ზომის საწარმოები (2,186 საწარმო) გამოიკითხა სრული მოცვით, ხოლო მცირე ზომის საწარმოები (7325 საწარმო) შეირჩა შემთხვევითი სტრატეგიული შერჩევით.

კვლევის შერჩევის მოცულობის დასადგენად გამოყენებული იქნა შემდეგი ფორმულა:

$$n=(p(1-p)*N*Z_{((1+q)/2)}^2)/(p(1-p)*Z_{((1+q)/2)}^2+N*d^2)*deff$$

სადაც,

N - პოპულაციის მოცულობა;

d - მაქსიმალური დასაშვები ცდომილება;

q - საიმედოობის დონე;

$Z_{((1+q)/2)^2}$  - სტანდარტული ნორმალური განაწილების  $(1+q)/2$  დონის ქვანტილი;

deff - დიზაინ ეფექტის მნიშვნელობა.

კვლევის სავლე სამუშაოები, შედეგების ელექტრონული ბაზის შექმნა, მონაცემთა ბაზის გაწმენდა და მასში ხარვეზების/უზუსტობების აღმოფხვრა და კვლევის შედეგების განზოგადება განახორციელა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა. კვლევის შედეგების ანალიზი და კვლევის ანგარიში მომზადდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

### **კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანს წარმოადგენს საწარმოების მიერ მოთხოვნილი პროფესიული უნარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მისი ანალიზი. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე შევისწავლეთ საწარმოებში ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები, რაც ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირებას, უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტის ზრდას.

### **კვლევის ობიექტი**

კვლევის ობიექტია იმ მოთხოვნილი პროფესიული უნარების შესწავლა, რომელსაც მოითხოვს დამსაქმებელი და რომელიც აუცილებელია პიროვნების დასაქმებისა და სამუშაოს კვალიფიციურად შესრულებისთვის.

### **კვლევის ამოცანები**

- დასაქმების სტრუქტურის შესწავლა სამუშაოს განაკვეთის, განათლების მიღწეული დონეების, სქესის, ეკონომიკურ საქმიანობათა სახეებისა და დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO-08) ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით. დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის გამოვლენა ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით;
- დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთა უნარების შეფასება დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO-08) ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით;
- სამუშაო ძალაზე მოთხოვნის კომპონენტის განსაზღვრა დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO-08) ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით. ამასთან ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული სირთულეების გამოვლენა;

- სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლა;
- მომდევნო 5 წლის განმავლობაში სამუშაო ძალის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საწარმოებში საპენსიო ასაკის მქონე ადამიანების გადინებას და სხვა საჭიროებით გამოწვეულ არსებული სამუშაო ძალის ახლით ჩანაცვლების შესაძლებლობებს.
- დასაქმებულთა განვითარებაზე საწარმოების მიერ განხორციელებული ქმედებების შესწავლა;
- პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების ტენდენციების, ასევე პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ტენდენციების გამოვლენა;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების თაობაზე ინფორმაციის მოძიება და მათი დასაქმების მიზეზების შესწავლა; დამწყები მუშახელის დასაქმების ტენდენციების გამოვლენა;
- საწარმოებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების და აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაო ძალაზე შესაძლო მოთხოვნის ზრდის ან შემცირების გამოვლენა.




# კვლევის ანგარიში

## სექცია 1: ძირითადი ინფორმაცია სამუშაო ძალის სტრუქტურისა და მახასიათებლების შესახებ

2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, დასაქმებულთა რაოდენობამ **862,731** ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3%-ით მეტია. აქედან, დასაქმებულთა 92% სრულ განაკვეთზე, ხოლო 8% არასრულ განაკვეთზეა დასაქმებული.

**გენდერულ ჭრილში** დასაქმებულთა განაწილება კაცების უპირატესობით ხასიათდება. შესაბამისად, კაცების წილი 54%-ს (464,072 დასაქმებული), ხოლო ქალების წილი - 46%-ს (398,659 დასაქმებული) შეადგენს. აღსანიშნავია, რომ დასაქმება ქალებში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3%-ით, ხოლო კაცებში - 2%-ით გაიზარდა.


დიაგრამა 1 დასაქმების სტრუქტურა (2023-2024 წწ 1 სექტემბრის მდგომარეობით)



**საწარმოთა ზომის მიხედვით** დასაქმების მხრივ ლიდერობს მსხვილი ზომის საწარმოები (46%), მას მოჰყვება მცირე (36%) და საშუალო (18%) ზომის საწარმოები.

**კვლევის თანახმად, განათლების მიღწეული ღონეების მიხედვით** დასაქმებულთა 57% ფლობს უმაღლეს განათლებას, 27% საშუალოს, ხოლო ყველაზე დაბალია პროფესიული განათლების მქონეთა წილი, რომელიც 16%-ს შეადგენს.


დიაგრამა 2 დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომისა და განათლების მიღწეული ღონის მიხედვით



**რეგიონების მიხედვით** დასაქმებულთა განაწილება გვიჩვენებს, რომ უმრავლესობა თბილისშია დასაქმებული. დედაქალაქში დასაქმებულთა წილი მთლიანი დასაქმების 63%-ია. შემდეგ მოდის აჭარა - 9%, იმერეთი - 7% და ქვემო ქართლი - 6%. უფრო დაბალია დასაქმებულთა ხვედრითი წილი შემდეგ რეგიონებში - სამეგრელო-ზემო სვანეთი (4%), კახეთი (3%), შიდა ქართლი (3%), სამცხე-ჯავახეთი (2%), მცხეთა-მთიანეთი (2%), გურია (1%), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (0.3%).

აღსანიშნავია, რომ წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დასაქმება გაიზარდა: თბილისში (6%), აჭარაში (7%), კახეთში (9%), შიდა ქართლში (9%) და იმერეთში (3%), ხოლო კლება დაფიქსირდა: გურიაში (-16%) და მცხეთა-თიანეთში (-13%).


დიაგრამა 3 დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით



ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით თითქმის მეოთხედი ვაჭრობის სექტორშია (23%) დასაქმებული. შემდეგ მოდის: დამამუშავებელი მრეწველობა (11%), ჯანდაცვა (11%), მშენებლობა (9%), ტრანსპორტი (7%), ტურიზმი (7%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (5%) და ინფორმაცია და კომუნიკაციის სექტორები (5%).

**2024 წელს წინა წელთან შედარებით დასაქმება საგრძნობლად გაიზარდა:** ვაჭრობის (9%), ჯანდაცვის (9%), მშენებლობის (8%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (7%), წყალმომარაგების (6%), საფინანსო (6%), ტურიზმის (5%) და ენერჯეტიკის (4%) სექტორებში. ხოლო კლება აღინიშნა: დამამუშავებელი მრეწველობის (-11%), სამთომოპოვებით (-9%), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების (-9%), ინფორმაცია და კომუნიკაციის (-3%) სექტორებში.


დიაგრამა 4 დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით (2024)



კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს დასაქმების სტრუქტურის შესწავლა დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 08) როგორც ძირითადი, ასევე ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით. ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით დასაქმებულთა განაწილება ასე გამოიყურება:



დიაგრამა 5 დასაქმებულთა განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



**2024 წელს წინა წელთან შედარებით დასაქმება გაიზარდა შემდეგ ძირითად პროფესიულ ჯგუფებში:** სოფლის მეურნეობის მუშაკების (8%), მომსახურების სფეროს მუშაკების (8%), მენეჯერების (7%), ტექნიკოსების (6%), ოფისის დამხმარე პერსონალისა (5%) და სპეციალისტების (3%) ძირითად პროფესიულ ჯგუფებში. დასაქმება შემცირდა ხელოსნების (-11%) ძირითად პროფესიულ ჯგუფში.


**2024 წელს საშუალო თვიურმა ხელფასმა 1,580 ლარი შეადგინა,** რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით **3%-ით მეტია.** ანაზღაურების მხრივ გამოირჩევა მსხვილი ზომის საწარმოები (2,774 ლარი), მას მოჰყვება საშუალო (2,568 ლარი) და შემდეგ მცირე ზომის საწარმოები (1,356 ლარი).

**რეგიონების მიხედვით,** დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი დედაქალაქშია (2,275 ლარი), ხოლო ყველაზე დაბალი - შიდა ქართლში (1,001 ლარი).

2024 წელს წინა წელთან შედარებით საშუალო თვიური ხელფასი თითქმის ყველა რეგიონში გაიზარდა. ზრდა იყო: რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (6%), თბილისში (5%), აჭარაში (4%), მცხეთა-მთიანეთსა (4%) და გურიაში (3%). საშუალო თვიური ხელფასი მცირედით გაიზარდა: ქვემო ქართლში (0.8%), იმერეთში (0.6%), სამცხე-ჯავახეთსა (0.3%) და კახეთში (0.1%). საშუალო თვიური ხელფასის მცირედი კლება დაფიქსირდა: შიდა ქართლსა (-1%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (-0.3%).




დიაგრამა 6 საშუალო თვიური ხელფასი რეგიონების მიხედვით (2024)



2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი, ISCO-ს ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, მენეჯერებს აქვთ - 2,340 ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3%-ით აღემატება, ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო ხელფასი დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშების ძირითად პროფესიულ ჯგუფში დაფიქსირდა - 771 ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3%-ით აღემატება.

აღნიშნულ პერიოდში წინა წელთან შედარებით საშუალო თვიური ხელფასი ასევე 3%-ით გაიზარდა ტექნიკოსებისა და მომსახურების სფეროს მუშაკების ძირითად პროფესიულ ჯგუფებში. სოფლის მეურნეობის მუშაკების ძირითად პროფესიულ ჯგუფში ხელფასი - 9%, ხოლო დანადგარების ოპერატორების ძირითად პროფესიულ ჯგუფში - 5%-ით გაიზარდა. ხელფასის შემცირება კი აღინიშნა ოფისის დამხმარე პერსონალის (-4%) ძირითად პროფესიულ ჯგუფში.


დიაგრამა 7 საშუალო თვიური ხელფასი ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (2024)



დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 2008) ძირითად პროფესიულ ჯგუფებში მაღალი ანაზღაურებით გამოირჩევა შემდეგი ელემენტარული ჯგუფები: **მენეჯერებში** - კვლევებისა და დამუშავებების მენეჯერები (3,588 ლარი); **სპეციალისტებში** - სისტემური ანალიტიკოსები (IT) (3,690 ლარი); **ტექნიკოსებში** - თვითმფრინავების პილოტები (7,760 ლარი); **ოფისის პერსონალში** - სოციოლოგიური გამოკვლევების და ბაზრის კონიუნქტურის კვლევების ინტერვიუერები (2,280 ლარი); **მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალში** - ბორტგამცილებლები და სტიუარდები (3,133 ლარი); **სოფლის მეურნეობის კვალიფიციურ მუშაკებში** - დრმა წყლების მეთევზეობის სფეროს მუშაკები (2,188 ლარი); **ხელოსნებსა და მონათესავე პროფესიების მუშაკებში** - ავიაძრავების მექანიკოსები და შემკეთებლები (3,281 ლარი); **სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორებსა და ამწყობებში** - ჭებისა და ჭაბურღილების მბურღავები და მონათესავე სფეროთა მუშები (4,427 ლარი); **დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელში** - სამოქალაქო მშენებლობის არაკვალიფიციური მუშები (1,542 ლარი). ზოგადად, ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი, ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით, თვითმფრინავების პილოტებს (7,760 ლარი) აქვთ.

ყველაზე მაღალანაზღაურებადი პროფესიული ჯგუფების პირველი ათეული ასე გამოიყურება:

დიაგრამა 8 საშუალო თვიური ხელფასი ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით



**ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით ანაზღაურება მაღალია: ინფორმაცია და კომუნიკაციის (2,676 ლარი), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (2,316 ლარი) და მშენებლობის (2,267 ლარი) სექტორებში.**


საშუალო თვიური ხელფასი და ხელფასის წლიური ზრდა (NACE rev.2) - 2024

ინფორმაცია და კომუნიკაცია	2676 ლ	4%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	2316 ლ	6%
მშენებლობა	2267 ლ	3%
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	2177 ლ	4%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	1869 ლ	8%
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1846 ლ	4%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1768 ლ	-5%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1662 ლ	3%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	1601 ლ	7%
დამამუშავებელი მრეწველობა	1455 ლ	2%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1424 ლ	1%
ტრანსპორტი და დასაწყობება	1424 ლ	-1%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	1410 ლ	4%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1391 ლ	1%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1257 ლ	3%
განათლება	1250 ლ	6%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1137 ლ	3%
სხვა სახის მომსახურება	845 ლ	3%

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას, მომდევნო 5 წლის განმავლობაში საშუალო ძალის დაბერების შესწავლა წარმოადგენს. შესაბამისად, კითხვარი მოიცავდა კითხვებს მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიღწეული და სავარაუდოდ, რეალურად პენსიაზე გამსვლელი დასაქმებულების გამოვლენის თაობაზე.

კვლევაში აჩვენა, რომ მომდევნო 5 წლის განმავლობაში დასაქმებულების **10% (86,822 დასაქმებული)** მიადრწევს საპენსიო ასაკს, რომელთა 61% კაცია, ხოლო 39% ქალი. საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთა 41% მსხვილი ზომის საწარმოებში არიან დასაქმებულები, 40% მცირე ზომის საწარმოებში, ხოლო 19% საშუალო ზომის საწარმოებში. მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა 68% თბილისზე მოდის.

დიაგრამა 9 საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა განაწილება სქესის, საწარმოთა ზომისა და რეგიონების მიხედვით




რაც შეეხება **სექტორულ ჭრილს**, მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის დასაქმებულთა ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი ამ სექტორის მთლიან დასაქმებაში<sup>1</sup> შემდეგ სექტორებში ფიქსირდება: ტრანსპორტისა და დასაწყობების (20%), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების (18%), ენერჯეტიკის (18%), სოფლის მეურნეობისა (17%) და წყალმომარაგების (16%) სექტორებში. ამასთან, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საფინანსო და ხელოვნების სექტორში (3%) დაფიქსირდა.

ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით მომდევნო 5 წლის განმავლობაში სექტორის მთლიან დასაქმებაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა ხვედრითი წილის თაობაზე სრული სურათი ასე გამოიყურება:

<sup>1</sup> საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთა რაოდენობა სექტორში / დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა სექტორში



დიაგრამა 10 მომღვენო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა წილი ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით<sup>2</sup>



რაც შეეხება მომღვენო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთა განაწილებას მთლიან დასაქმებაში დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 2008) ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, აღნიშნული შემდგენიარად გამოიყურება: მენეჯერები - 9%, სპეციალისტები - 11%, ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 9%, ოფისის დამხმარე პერსონალი - 6%, მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 6%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები - 7%, ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 11%, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 15% დამწყები კვალიფიკაციის მუშები - 14%.

ამრიგად, დაბერების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ISCO 2008-ის ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, არის დანადგარების და მოწყობილობების ოპერატორების (15%) ძირითად პროფესიულ ჯგუფში. ხოლო, ყველაზე დაბალი კი ოფისის დამხმარე პერსონალისა (6%) და მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს (6%) ძირითად პროფესიულ ჯგუფებში. სრული სურათი ასე გამოიყურება:

მენეჯერები	9%
სპეციალისტები	11%
ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	9%

<sup>2</sup> A - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა; B - სამთომოპოვებითი მრეწველობა; C - დამამუშავებელი მრეწველობა; D - ენერგეტიკა; E - წყალმომარაგება; F - მშენებლობა; G - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; H - ტრანსპორტირება და დასაწყობება; I - სასტუმროები/რესტორნები; J - ინფორმაცია და კომუნიკაცია; K - საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები; L - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები; M - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები; N - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები; P - განათლება; Q - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები; R - ხელოვნება, გართობა და დასვენება; S - სხვა სახის მომსახურება.

ოფისის დამხმარე პერსონალი	6%
მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	6%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები	7%
ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	11%
დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები	15%
დამწყები კვალიფიკაციის მუშები	14%

მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთა განაწილება მთლიან დასაქმებაში, დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 2008) **ელემენტარული პროფესიული ჯგუფების** (იმ ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფებში სადაც საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 1000-ს) მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:


კოდი	ელემენტარული პროფესიული ჯგუფი	მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა რაოდენობა	წილი <sup>3</sup>
2411	ბუნჰალტრები	5931	17%
1120	მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები	5726	14%
9112	ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები	4828	21%
2212	ექიმი-სპეციალისტები	3800	15%
8331	ავტობუსებისა და ტრამვაის მძღოლები	3435	41%
5414	დარაჯები	3286	16%
1211	ფინანსური მენეჯერები	1955	12%
8332	სატვირთო ავტომობილების მძღოლები	1954	10%
1439	სხვა მომსახურებების მენეჯერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	1913	9%
1221	გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები	1536	6%
2221	სპეციალისტი-პროფესიონალი ექთნები	1479	10%
5120	მზარეულები	1415	10%


<sup>3</sup> პროფესიული ჯგუფების მიხედვით მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა რაოდენობა/პროფესიულ ჯგუფებში დასაქმებულთა რაოდენობაზე

7119	შენობის კარკასის მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	1393	15%
5223	მაღაზიების კოსულტანტ-გამყიდველები	1360	3%
9629	არაკვალიფიციური მუშები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	1279	12%
1219	კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	1177	8%
3256	სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალი	1086	9%
7111	სახლების მშენებლები	1000	11%

კვლევის თანახმად, მომდევნო 5 წლის განმავლობაში, დამსაქმებელთა აზრით საპენსიო ასაკს მიღწეულთაგან **პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა რაოდენობა 13,862 დასაქმებულია**, რაც მთლიანი დასაქმების 2%, ხოლო საპენსიო ასაკს მიღწეული დასაქმებულების 16%-ს შეადგენს, რომელთაგან 69% კაცია, ხოლო 31% ქალი. პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მსხვილი ზომის (43%) საწარმოებზე, ხოლო რეგიონულ ჭრილში დედაქალაქზე (58%) მოდის. აღნიშნული მაჩვენებელი მცირე ზომის საწარმოებში 38%-ს, ხოლო საშუალო ზომის საწარმოებში 19%-ს შეადგენს.


დიაგრამა 11 მომდევნო 5 წლის განმავლობაში პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა წილი სქესის, საწარმოთა ზომისა და რეგიონების მიხედვით





დამსაქმებელთა აზრით, მომდევნო 5 წლის განმავლობაში, პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა მაღალი ხვედრითი წილით ISCO 2008-ის **ძირითად პროფესიულ ჯგუფებში** გამოირჩევა: სპეციალისტები (19%), მენეჯერები (16%), დამწყები კვალიფიკაციის მუშები (14%), ხელოსნები (13%), მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირები (12%), დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები (12%).

დიაგრამა 12 პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა წილი დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 08) ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



**ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების** მიხედვით მომდევნო 5 წლის განმავლობაში პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა მაღალი ხვედრითი წილი ფიქსირდება: ვაჭრობაში (13%), დამამუშავებელ მრეწველობაში (12%), ტრანსპორტსა (12%) და ჯანდაცვაში (10%).

რაც შეეხება მომდევნო 5 წლის განმავლობაში თითოეულ სექტორში საპენსიო ასაკს მიღწეული დასაქმებულებიდან პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა წილს, აღნიშნული მაჩვენებელი **ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების** მიხედვით ყველაზე მაღალია:

სოფლის მეურნეობის (42%), წყალმომარაგების (30%), საფინანსო საქმიანობისა (30%) და მშენებლობის (20%) სექტორებში<sup>4</sup>.

მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთაგან პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა წილი<sup>5</sup> ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულებში, ყველაზე მაღალია დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორებში (21%). სრული სურათი ასე გამოიყურება:

მენეჯერები	14%
სპეციალისტები	13%
ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	17%
ოფისის დამხმარე პერსონალი	19%
მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	19%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები	3%
ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	19%
დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები	21%
დამწყები კვალიფიკაციის მუშები	14%

მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა რაოდენობა საკმაოდ მაღალი იქნება მენეჯერულ ჰორიზონტზე, ასევე სპეციალისტების შემდეგ ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფებში: ქიმიკოსები; გეოლოგები და გეოფიზიკოსები; მათემატიკოსები, აქტუარები და სტატისტიკოსები; ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე სფეროების სპეციალისტი-პროფესიონალები; სოფლის მეურნეობის, მეტყვევობისა და მეთევზეობის სფეროთა სპეციალისტები (კონსულტანტები); გარემოს დაცვის სპეციალისტები; მრეწველობისა და წარმოების ინჟინრები; სამოქალაქო მშენებლობის ინჟინრები; გარემოს დაცვის ინჟინრები; ინჟინერ-მექანიკოსები; ინჟინერ-ქიმიკოსები; სამთო ინჟინრები, მეტალურგები და მონათესავე სფეროების სპეციალისტები; ტექნიკის (ინჟინერიის) სფეროს სპეციალისტი-პროფესიონალები; ინჟინერ-ელექტრიკოსები; ელექტრონიკის ინჟინრები; ტელეკომუნიკაციების ინჟინრები; შენობების არქიტექტორები.

მომდევნო 5 წლის განმავლობაში, პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა წილი, საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულებში<sup>6</sup>, ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით (მინიმუმ 100 დასაქმებული) ყველაზე მაღალია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებში: შუშის დამამზადებლები (92%), ბანკის მოლარეები (74%), სამედიცინო

<sup>4</sup> შესაბამის სექტორში მომდევნო 5 წლის განმავლობაში პენსიაზე გამსვლელთა სავარაუდო რაოდენობა/ამ სექტორში მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა რაოდენობა

<sup>5</sup> შესაბამის ძირითად პროფესიულ ჯგუფში მომდევნო 5 წლის განმავლობაში პენსიაზე გამსვლელთა სავარაუდო რაოდენობა/ამ ძირითად პროფესიულ ჯგუფში მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა რაოდენობა

<sup>6</sup> შესაბამის ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფში მომდევნო 5 წლის განმავლობაში პენსიაზე გამსვლელთა სავარაუდო რაოდენობა/ამ ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფში მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა რაოდენობა

რეგისტრატორები და ჯანმრთელობის დაცვის ინფორმაციის სპეციალისტები (71%), ქიმიკოსები (64%), სახლების მშენებლები (52%), მიწასათხრელი და მსგავსი მანქანების ოპერატორები (51%), მომსახურების პუნქტების პერსონალი (50%), ხის პირველადი დამუშავების მუშები (49%), სტილისტები (43%), ბეტონის ჩამსხმელები (41%).

## საქცია 2 - დასაქმებულთა უნარების შეფასება


კვლევის ფარგლებში, დამსაქმებელთა მიერ დასაქმებულთა უნარები შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: (ტექნიკური უნარები, ხარისხის კონტროლის უნარები, პრობლემის გადაჭრის უნარები, გუნდური მუშაობის და თანამშრომლობის უნარები, ეფექტიანი წარმოების უნარი, უსაფრთხოების უნარები, ადაპტაციის და მოქნილობის უნარები, ღრობის მენეჯმენტი და ორგანიზაციული უნარები, კომუნიკაციის უნარები, ლიდერობის უნარები. აღნიშნული უნარების დამსაქმებელთა მიერ შეფასდა 5 ქულიანი შკალით და შეფასების თანახმად, ნახევარმა (50%) კარგი შეფასება მისცა ზემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით დასაქმებულთა უნარებს, დაახლოებით მესამედმა (30%) - ძალიან კარგი, ხოლო მეხუთედმა (20%) - საშუალო. უმნიშვნელოა ცუდი და ძალიან ცუდი შეფასების ხვედრითი წილი.

კვლევის შედეგად ამასთანავე, შესწავლილ იქნა დამსაქმებელთა მოთხოვნა სამუშაო გამოცდილების იმ მინიმალურ ხანგრძლივობაზე, რომელიც მოეთხოვება დასაქმების მსურველს საწარმოში სამუშაოს განსახორციელებლად.

კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულ საწარმოთა 68% აცხადებს, რომ გამოცდილება, რომელიც მოითხოვება საწარმოში სამუშაოს/საქმის განსახორციელებლად მინიმუმ ერთი წელია, 28%-ის თანახმად კი საწარმოში სამუშაოს განსახორციელებლად სამუშაო გამოცდილება არ მოითხოვება. აღნიშნული შედეგები ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით ასე ნაწილდება:


- „მინიმუმ 1 წელი გამოცდილება“, სექტორების უმრავლესობამ დაასახელა, თუმცა მათგან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან: ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდების (84%), მშენებლობის (82%), განათლების (81%), ჯანდაცვის (81%), ინფორმაცია და კომუნიკაციის (79%), ტრანსპორტის (74%), სამთომოპოვებითი (70%), დამამუშავებელი მრეწველობის (64%) და განთავსების (64%) სექტორები.
- „გამოცდილების გარეშე“ კადრების აყვანა მაღალი წილებით დასახელდა შემდეგ სექტორებში: წყალმომარაგების (48%), სოფლის მეურნეობის (41%), ვაჭრობის (40%), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების (36%) სექტორებში.

დიაგრამა 13 სამუშაო გამოცდილების მინიმალური ხანგრძლივობა, რომელიც მოეთხოვება დასაქმების მსურველს საწარმოში სამუშაოს განსახორციელებლად



კვლევის თანახმად, საწარმოთა 85% მიიჩნევს, რომ დასაქმებულთა უნარები უმეტესად შეესაბამება საჭირო უნარებს. 8% მიიჩნევს, რომ დასაქმებულებს უმეტესად გააჩნიათ უნარები უფრო კომპლექსური დავალებების შესასრულებლად, ხოლო 6% თვლის, რომ დასაქმებულთა უნარები საჭიროებს განვითარებას.


დიაგრამა 14 დასაქმებულთა უნარების ზოგადი შეფასება



ეკონომიკურ საქმიანობათა სახეები, სადაც თვლიან, რომ დასაქმებულთა უნარები უმეტესწილად საჭიროებენ განვითარებას, წილობრივად ასე გადანაწილდა: განათლების (11%), ინფორმაცია და კომუნიკაციის (10%), დამამუშავებელი მრეწველობის (9%), ჯანდაცვის (8%), განთავსების საშუალებით უზრუნველყოფის (8%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (8%), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების (7%), მშენებლობის (7%), ვაჭრობის (7%) სექტორები.

კვლევის თანახმად, საწარმოების თითქმის ნახევარზე მეტი (53%) დასაქმებულთა უნარებთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად სპეციალურ ღონისძიებებს არ მიმართავს, დამატებით ტრენინგის ჩატარებას - 20% მიმართავს, ახალი კვალიფიციური კადრი აჰყავს - 17%-ს, ხოლო სამუშაო პრაქტიკას ცვლის - 10%.

დიაგრამა 15 ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც ტარდება დასაქმებულთა უნარებთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად



ახალი კვალიფიციური კადრის აყვანის მხრივ გამოირჩევიან: განათლების (22%), ინფორმაცია და კომუნიკაციის (22%), წყალმომარაგების (22%), მშენებლობის (21%), ჯანდაცვის (21%), სამთომოპოვების (20%) სექტორები.

დამატებით ტრენინგების ჩატარების მხრივ გამოირჩევიან: განათლების (35%), ჯანდაცვის (35%), ხელოვნების (34%), საფინანსო (34%), ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდების (31%) სექტორები.

სამუშაო პრაქტიკის შეცვლის მხრივ გამოირჩევიან: განათლების (13%), დამამუშავებელი მრეწველობის (13%), სამთომოპოვების (12%) სექტორები.



### სექცია 3 - ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ


სამუშაო ძალაზე არსებული მოთხოვნის გამოვლენის მიზნით, კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა საწარმოებში არსებული და გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობის შესწავლა საწარმოთა ზომის, რეგიონების, ეკონომიკური საქმიანობების და პროფესიული ჯგუფების მიხედვით.

2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ბოლო 1 წლის განმავლობაში, საწარმოთა 16%-ს (8,047 საწარმოს) ქონდა ვაკანსია, რომელმაც ჯამში 93,372 ვაკანსია შეადგინა.

ვაკანსიის მქონე საწარმოები რეგიონების მიხედვით ასე გადანაწილდა: საწარმოთა 38% თბილისზე მოდის, ხოლო 62% დანარჩენ რეგიონებზე. ამასთან, საწარმოთა ზომის მიხედვით, საწარმოების უმრავლესობა (81%) მცირე ზომის საწარმოებს განეკუთვნება, 13% - საშუალო ზომის საწარმოებს, ხოლო 6% - მსხვილი ზომის საწარმოებს.


რაც შეეხება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით, ვაკანსიების მქონე საწარმოები შემდეგნაირად განაწილდა: 31% - ვაჭრობა, 12% - სასტუმროები/რესტორნები, 11% - დამამუშავებელი მრეწველობა, 7% - მშენებლობა, 7% - ტრანსპორტირება და დასაწყობება, 6% - ჯანდაცვა, 5% - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები, 4% - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, 3% - ინფორმაცია და კომუნიკაცია, 3% - სხვა სახის მომსახურება, 2% - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, 2% - საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, 2% - ხელოვნება, გართობა და დასვენება, 1% - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა, 1% - სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება, 0,3% - წყალმომარაგება, 0,3% - ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება.

დიაგრამა 16 ვაკანსიების მქონე საწარმოთა განაწილება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით



ვაკანსიების მქონე საწარმოების ხვედრითი წილი მაღალია მსხვილი ზომის საწარმოებში - 66% (708 საწარმოდან ვაკანსია ჰქონდა 470-ს), შემდეგ მოდის საშუალო ზომის საწარმოები - 37% (2,798 საწარმოდან 1,040-ს ჰქონდა ვაკანსია) და ბოლოს მცირე ზომის საწარმოები 14% (6,538 საწარმო 47,688-დან).

დიაგრამა 17 ვაკანსიების მქონე საწარმოების ხვედრითი წილი საწარმოთა ზომის მიხედვით



ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით, ვაკანსიების მქონე საწარმოთა ხვედრითი წილი<sup>7</sup> მაღალია ჯანდაცვის - 26%, განათლების - 26%, განთავსების - 22% და ვაჭრობის - 20% სექტორებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ვაკანსიის მქონე საწარმოთა ხვედრითი წილი სექტორების მიხედვით:


ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	26%
განათლება	26%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	22%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	20%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	19%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	18%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	18%
დამამუშავებელი მრეწველობა	18%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	17%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	13%
მშენებლობა	11%
სხვა სახის მომსახურება	11%
ტრანსპორტი და დასაწყობება	10%
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება	10%

<sup>7</sup> სექტორში ვაკანსიის მქონე საწარმოთა რაოდენობა / ამ სექტორში საწარმოთა სრულ რაოდენობასთან.

სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	8%
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	7%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	5%


ბოლო ერთი წლის განმავლობაში **არსებული ვაკანსიების** რაოდენობამ **93,372** შეადგინა, რომელთაგან საწარმოებს გამოცხადებული ქონდა **77,364** ვაკანსია, რაც არსებული ვაკანსიების **83%-ს** შეადგენს. გამოცხადებული ვაკანსიების 55% (42,636 ვაკანსია) მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 25% (19,644 ვაკანსია) საშუალო ზომის საწარმოებზე, ხოლო 20% (15,084 ვაკანსია) მცირე ზომის საწარმოებზე. გამოცხადებული ვაკანსიების 75% თბილისზე მოდის, ხოლო 25% დანარჩენ რეგიონებზე

დიაგრამა 18 ბოლო 1 წლის განმავლობაში, საწარმოების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება (საწარმოთა ზომა, რეგიონი)



რაც შეეხება **ეკონომიკური საქმიანობების სახეების** მიხედვით გამოცხადებული ვაკანსიების განაწილებას, კვლევის თანახმად, ყველაზე მეტი ვაკანსია ვაჭრობის სექტორზე მოდის (23%). შემდეგ მოდის საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების (12%), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის (11%), ინფორმაცია და კომუნიკაციის (11%) სექტორები.

დიაგრამა 19 ბოლო 1 წლის განმავლობაში, საწარმოების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება სექტორების მიხედვით



დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 2008) ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, გამოცხადებული ვაკანსიები შემდეგნაირად გადანაწილდა: ყველაზე მეტი ვაკანსია მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებულ პირებზე (20%) მოდის. მას მოყვება ოფისის დამხმარე პერსონალი (17%), სპეციალისტები (17%), მენეჯერები (16%), დამწყები კვალიფიკაციის მუშაკები (12%), ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები (8%), ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები (6%), დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები (4%), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები (0,4%).

გამოცხადებული ვაკანსიების 10 ყველაზე მსხვილ ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფს წარმოადგენს:

4212	ბუკმეკერები, კრუპიეები და აზარტული თამაშების სფეროში დასაქმებული სხვა პირები	5631
5223	მაღაზიების კოსულტანტ-გამყიდველები	5623
1439	სხვა მომსახურებების მენეჯერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	3395
1221	გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები	2863
5131	მიმტანები	2479
2262	ფარმაცევტები	1881
5120	მზარეულები	1771
9112	ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები	1742
9411	სწრაფი კვების კერძების დამამზადებლები	1725
2512	პროგრამისტები	1527

ძირითად პროფესიულ ჯგუფებში, გამოცხადებული ვაკანსიებით შემდეგი ელემენტარული პროფესიული ჯგუფები გამოირჩევიან<sup>8</sup>:


			რაოდენობა	წილი	
1	მენეჯერები	1221	გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები	2863	23%
2	სპეციალისტები	2262	ფარმაცევტები	1881	15%
3	ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	3312	საკრედიტო და სესხის ოფიცრები	965	15%
4	ოფისის დამხმარე პერსონალი	4212	ბუკმეკერები, კრუპიეები და აზარტული თამაშების სფეროში დასაქმებული სხვა პირები	5631	42%

<sup>8</sup> მაგ: მენეჯერების ძირითად პროფესიულ ჯგუფში, ყველაზე მეტი ვაკანსია გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერების პოზიციაზე გამოცხადდა - 2,863, რაც მენეჯერების ძირითადი პროფესიული ჯგუფისთვის გამოცხადებული ვაკანსიების 23%-ია

5	მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	5223	მაღაზიების კოსულტანტ-გამყიდველები	5623	37%
6	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები	6223	ღრმა წყლების მეთევზეობის სფეროს მუშაკები	176	62%
7	ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	7119	შენობის კარკასის მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	1031	22%
8	დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები	8332	სატვირთო ავტომობილების მძღოლები	1038	34%
9	დამწყები კვალიფიკაციის მუშაკები	9112	ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები	1742	19%


კვლევა ასევე ითვალისწინებს გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო ნომინალური ხელფასის შესწავლას. ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე საშუალო ნომინალური ხელფასი - **1,707** ლარს შეადგენს, რაც ამავე კვლევის თანახმად გამოვლენილი მთლიანი ბიზნეს სექტორის 2024 წლის **საშუალო თვიურ ხელფასს (1,580 ლარი)** 8%-ით აღემატება. ამასთან, ყველაზე მაღალი შეთავაზებული ხელფასი პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობებისა (3,095 ლარი) და ინჟინერიისა და კომუნიკაციის (3,083 ლარი) სექტორში გამოცხადებულ ვაკანსიაზეა. მას მოჰყვება საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების (2,864 ლარი) სექტორში გამოცხადებულ ვაკანსიაზე შეთავაზებული ხელფასი, ხოლო შემდგომ ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდების (2,351 ლარი) სექტორში გამოცხადებულ ვაკანსიაზე შეთავაზებული ხელფასი.

დიაგრამა 20 ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო თვიური ხელფასი (სექტორების მიხედვით)



ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო ხელფასი, **ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით, ყველაზე მაღალი მენეჯერების ჯგუფშია - 2,544 ლარი, შემდეგ მოდიან სპეციალისტები - 2,074 ლარი და ტექნიკოსები - 1,920 ლარი. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალი დამწყები კვალიფიკაციის მუშების ჯგუფშია - 957 ლარი.

დიაგრამა 21 ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო თვიური ხელფასი (ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით)





კვლევის თანახმად, 2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, გამოცხადებულ ვაკანსიებიდან **შეუვსებელი** დარჩა **10,602 ვაკანსია**, რაც გამოცხადებული ვაკანსიების **14%-ს შეადგენს**. აქედან, 55% (5,840 ვაკანსია) მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 20% (2,123 ვაკანსია) საშუალო ზომის საწარმოებზე, ხოლო 25% (2,640 ვაკანსია) მცირე ზომის

საწარმოებზე. რეგიონების მიხედვით შეუვსებელი ვაკანსიები შემდეგნაირად გადანაწილდა: თბილისი - 70%, დანარჩენი რეგიონები - 30%.

შეუვსებელი ვაკანსიების განაწილება ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: ვაჭრობა 25%, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა 12%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები 10%, დამამუშავებელი მრეწველობა 10%.

დიაგრამა 22 შეუვსებელი ვაკანსიების განაწილება (საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით)



შეუვსებელი ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, ყველაზე მეტად მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირების ჯგუფზე მოდის - 26%. მას მოჰყვება დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშები - 13%, მენეჯერები - 12%, სპეციალისტები - 11%, ოფისის დამხმარე პერსონალი - 11%, ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 9%, ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 9%, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები - 8%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები - 0.1%.

შეუვსებელი ვაკანსიები ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით:


5223	მაღაზიების კონსულტანტ-გამყიდველები	1183	11%
9411	სწრაფი კვების კერძების დამამზადებლები	432	4%
8331	ავტობუსებისა და ტრამვაის მძღოლები	383	4%
1221	გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები	372	4%
4211	ბანკის მოლარეები და მონათესავე სფეროთა კლერკები	348	3%
1439	სხვა მომსახურებების მენეჯერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	298	3%
5230	მოლარეები, საბილეთო სალაროების მოლარეების ჩათვლით	265	3%
5120	მზარეულები	252	2%
5249	გაყიდვების სფეროს მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	251	2%
5131	მიმტანები	239	2%
3511	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ექსპლუატაციის ტექნიკოსები	228	2%
4110	ოფისის ზოგადი პროფილის კლერკები	225	2%
7511	ხორცის, თევზისა და მსგავსი საკვები პროდუქტების გადამამუშავებლები	215	2%
9629	არაკვალიფიციური მუშები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	212	2%
4223	სატელეფონო კომუტატორის ოპერატორები	208	2%
8332	სატვირთო ავტომობილების მძღოლები	204	2%
9622	შემთხვევითი სამუშაოს შემსრულებლები	160	2%
2512	პროგრამისტები	159	2%

რაც შეეხება, შეუვსებელი ვაკანსიების წილს ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით, კვლევის თანახმად, ვაკანსიების შევსების პრობლემა ყველაზე მეტად სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორში გამოვლინდა - 45% (გამოცხადებული - 502, შეუვსებელი - 228). შემდეგ მოდის სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა - 25% (გამოცხადებული - 916, შეუვსებელი - 232), ტრანსპორტი და დასაწყობება - 22% (გამოცხადებული - 4788, შეუვსებელი - 1061), ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება - 21% (გამოცხადებული - 505, შეუვსებელი - 107), დამამუშავებელი მრეწველობა - 19% (გამოცხადებული - 5658, შეუვსებელი - 1098).

**ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით შეუვსებელი ვაკანსიების ყველაზე მაღალი წილი დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორების ძირითად პროფესიულ ჯგუფზე (27%) მოდის.



დიაგრამა 23 შეუსრულებელი ვაკანსიების განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



**ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით** (სადაც 100-ზე მეტი ვაკანსია გამოცხადდა), შეუსრულებელი ვაკანსიების მაღალი წილით გამოირჩევა ლითონდასამუშავებელი ჩარხების ამწყობები და ოპერატორები - 92% (101 შეუსრულებელი ვაკანსია), საკონტაქტო ცენტრის კლერკები - 86% (867 შეუსრულებელი ვაკანსია), ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები 76% (152 შეუსრულებელი ვაკანსია).

კოდი	ელემენტარული პროფესიული ჯგუფები	შეუსრულებელი ვაკანსიები	წილი <sup>9</sup>
9622	შემთხვევითი სამუშაოს შემსრულებლები	160	89%
3511	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ექსპლუატაციის ტექნიკოსები	228	65%
7511	ხორცის, თევზისა და მსგავსი საკვები პროდუქტების გადამამუშავებლები	215	60%
8331	ავტობუსებისა და ტრამვაის მძღოლები	383	57%
7319	ხელოსნები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	115	53%
7114	ბეტონის ჩამსხმელები, ბეტონის მომპირკეთებლები და მონათესავე სფეროების მუშები	96	49%
7214	კონსტრუქციული ლითონის დამამზადებლები და მემონტაჟეები	70	43%
3117	სამთომოპოვებითი მრეწველობის და მეტალურგიის ტექნიკოსები	92	42%
3434	შეფშარეულები	58	38%
9211	არაკვალიფიციური მუშები მემცენარეობაში	71	34%

<sup>9</sup> გამოცხადებულ ვაკანსიებში შეუსრულებელი ვაკანსიების წილი

7533	მკერავები, მქარგავები და მონათესავე სფეროების ხელოსნები	133	32%
4223	სატელეფონო კომუტატორის ოპერატორები	208	31%
3322	კომერციული გაყიდვების აგენტები	134	30%
1222	რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები	43	30%
4211	ბანკის მოლარეები და მონათესავე სფეროთა კლერკები	348	29%
3512	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლების მხარდაჭერის ტექნიკოსები	76	28%
5249	გაყიდვების სფეროს მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	251	25%
2431	რეკლამისა და მარკეტინგის სპეციალისტები	89	25%
5141	სტილისტები	71	24%
5242	საქონლის დემონსტრატორები	117	24%
4322	წარმოების კლერკები	47	23%
8322	მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები	120	23%
5230	მოლარეები, საბილეთო სალაროების მოლარეების ჩათვლით	265	21%
5223	მაღაზიების კოსულტანტ-გამყიდველები	1183	21%
3221	ექთნის დამხმარე სპეციალისტები	101	21%
5132	ბარმენები	50	20%
1211	ფინანსური მენეჯერები	142	20%
8332	სატვირთო ავტომობილების მძღოლები	204	20%


კვლევის თანახმად, ვაკანსიების შევსებისას პრობლემა **956 საწარმოს** ქონდა, რაც გამოცხადებული ვაკანსიების მქონე საწარმოების **12%-ია**. აღნიშნული საწარმოებიდან 12% მსხვილი ზომის საწარმოა (რაც იმ მსხვილი ზომის საწარმოთა 24%-ია, რომელმაც ვაკანსია გამოაცხადა), 17% საშუალო ზომის საწარმო (რაც იმ საშუალო ზომის საწარმოთა 15%-ია, რომელმაც ვაკანსია გამოაცხადა), ხოლო 72% მცირე ზომის საწარმო (რაც იმ მცირე ზომის საწარმოთა 10%-ია, რომელმაც ვაკანსია გამოაცხადა). რეგიონების მიხედვით განაწილება გვიჩვენებს, რომ ამ საწარმოთა 47% თბილისზე მოდის, ხოლო 53% დანარჩენ რეგიონებზე.

ვაკანსიის შევსებისას პრობლემის ყველაზე მაღალი წილით გამოირჩევა საწარმოები შემდეგი სექტორებიდან: სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (43%), სხვა სახის მომსახურება (22%), დამამუშავებელი მრეწველობა (15%), ინფორმაცია და კომუნიკაცია (15%), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (14%), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა (13%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (13%),

ვაჭრობა (11%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (11%), ხელოვნება, გართობა და დასვენება (10%).

ვაკანსიების შეუვსებლობის მიზეზების თვალსაზრისით, საწარმოთა 28%-ს პრობლემა „აპლიკანტთა რაოდენობის ნაკლებობის“ გამო შეექმნათ, 17%-ის „აპლიკანტებს შეთავაზებულზე მაღალი ხელფასის მოლოდინი ჰქონდათ“, 16%-ის შემთხვევაში „აპლიკანტები არ იყვნენ კვალიფიციურები“, 12%-ის შემთხვევაში „დიდი კონკურენცია სხვადასხვა დამსაქმებლისგან“, 12%-ის შემთხვევაში „აპლიკანტებს აკლდათ სამუშაო გამოცდილება“, 7%-ის შემთხვევაში „აპლიკანტებს არ მოსწონდათ შეთავაზებული სამუშაო გარემო (ფიზიკურად მძიმე, მისასვლელი და ა.შ)“, 4%-ის შემთხვევაში „არავის მოუმართავს, ხოლო 3%-ის შემთხვევაში „აპლიკანტები იყვნენ ზედმეტად კვალიფიციურები“.

დიაგრამა 24 ვაკანსიების შეუვსებლობის მიზეზები



კვლევის თანახმად, 2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, გამოკითხვის მომენტში **1,322** საწარმოს **12,881** ვაკანსია ჰქონდა, რომელთაგან გამოცხადებული ქონდათ **8,733** (68%) ვაკანსია.


გამოკითხვის მომენტში გამოცხადებული ვაკანსიები (8,733 ვაკანსია) ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 30%, დამწყები კვალიფიკაციის მუშები - 17%, ოფისის დამხმარე პერსონალი - 12%, სპეციალისტები - 11%, ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 9%, მენეჯერები - 9%, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები - 7%, ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 3%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები - 2%.

კვლევის ფარგლებში, საწარმოში არსებული ვაკანსიებთან მიმართებით შესწავლილ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ახალი კადრების მოძიების წყაროები,

აპლიკანტთა შეფასების გზები, საწარმოს საქმიანობიდან გამომდინარე სამუშაოს მაძიებლის მიერ უცხო ენის ფლობის საჭიროება და სხვა.


როგორც კვლევამ გამოავლინა, ახალი კადრების მოძიების წყაროდ საწარმოთა 51% ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს ასახელებს, 33% - ინტერნეტს (სოც-ქსელები, ვებგვერდები), 12% - დასაქმების კერძო სააგენტოებს, ხოლო 1% - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს.

დიაგრამა 25 ახალი კადრის მოძიების წყაროები




კვლევის შედეგების თანახმად, საწარმოთა 42% აპლიკანტთა შეფასებას გასაუბრების გზით ახორციელებს. 30% - სამუშაო გარემოში გამოცდით, 20% - რეკომენდაციას ითვალისწინებს, 4% - ატარებს ტესტირებას, ხოლო 3% - სუბიექტური გადაწყვეტილების საფუძველზე ახდენს აპლიკანტთა შეფასებას.

დიაგრამა 26 აპლიკანტთა შეფასების გზები




სამუშაოზე მიღებისას საწარმოების ნახევარი (51%) უპირატესობას ანიჭებს კანდიდატებს, ვისაც აქვთ გარკვეული „გამოცდილება“, 15% - უპირატესობას ანიჭებს კანდიდატებს „ვინც ადგილზე გაიარა პრაქტიკა“, 10% - „ვისაც რეკომენდაცია გაუწიეს ახლობლებმა“, 10% - „ვისაც რეკომენდაცია გაუწია თანამშრომელმა“, 10% - „ვისაც სამუშაო გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ აქვთ მოტივაცია“, 3% - „ვისაც სამუშაო გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ აქვთ შესაბამისი თეორიული ცოდნა“.

დიაგრამა 27 რომელ კანდიდატებს აქვთ უპირატესობა



აპლიკანტთა მიერ უცხო ენის ფლობა არ ესაჭიროებათ საწარმოების 48%-ს, საწარმოების თითქმის მესამედს (30%) უმეტეს შემთხვევაში ესაჭიროება, ხოლო უმეტესად არ ესაჭიროება 22%-ს. ამასთან, მათ ვისაც ესაჭიროებათ, პრიორიტეტულ ენებად დაასახელეს: ინგლისური (63%), რუსული (27%), თურქული (6%), სხვა (3%).

დიაგრამა 28 გესაჭიროებათ თუ არა აპლიკანტის მიერ უცხო ენის ფლობა?




ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად, კვლევის თანახმად საწარმოები მიმართავენ სხვადასხვა გზას. კერძოდ, 29% იწყებს უფრო ინტენსიურ ძებნას, 20%-ს არ მიუმართავს არანაირი ზომებისათვის, 15% ცვლის სამუშაოს პირობებსა და/ან სხვა გარემოებებს, 11%-მა დროებით დაიქირავა სამუშაო ძალა, 10%-ის



შემთხვევაში დასაქმებულები ასრულებენ ზეგანაკვეთურ სამუშაოს, 7%-მა არსებული სამუშაო ძალის გადამზადებით მოაგვარა ვაკანსიის შევსების პრობლემა, 6%-ის შემთხვევაში სამუშაოს შესრულების ფუნქცია გადაეცა გარე მომსახურე მხარეს.

დიაგრამა 29 რა ზომებს მიმართა საწარმოთ ვაკანსიის შევსებასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად




## სექცია 4 – მოთხოვნა სამუშაო ძალაზე

კვლევის ფარგლებში, სამუშაო ძალაზე სამომავლო მოთხოვნის განსაზღვრის მიზნით გამოკითხულ საწარმოებს დაესვათ კითხვა - „აპირებთ თუ არა მუშახელის რაოდენობის გაზრდას მომდევნო 12 თვის განმავლობაში?“. კვლევის შედეგების თანახმად, **8,219**-მა საწარმომ გასცა დადებითი პასუხი (რაც სულ საწარმოთა **16%**-ია). 2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, მომდევნო 1 წლის განმავლობაში თანამშრომელთა ზრდის მოსალოდნელმა რაოდენობამ **22,449 შეადგინა**, რაც არსებული დასაქმების **3%**-ია.


მომდევნო 1 წლის განმავლობაში თანამშრომელთა მოსალოდნელი ზრდა (22,449 დასაქმებული) საწარმოთა ზომის, რეგიონების და ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა. **საწარმოთა ზომის მიხედვით:** მსხვილი - 28%, საშუალო - 17%, მცირე - 55%. **რეგიონების მიხედვით:** თბილისი - 59%, დანარჩენი რეგიონები - 41%. **ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით:** ვაჭრობა - 22%, მშენებლობა - 12%, დამამუშავებელი მრეწველობა - 10%, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა და საკვების მიწოდების საქმიანობები - 10%, დანარჩენი სექტორების წილი ჯამში შეადგენს 21%-ს.

დიაგრამა 30 მომდევნო 1 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა და მათი განაწილება (საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით)



**ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა ყველაზე მაღალია მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირებისა (19%) და სპეციალისტების (19%) ჯგუფებში. შემდეგ მოდის: მენეჯერები (14%), ხელოსნები (12%), დამწყები კვალიფიკაციის მუშაკები (11%), ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები (9%), დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები (9%), ოფისის დამხმარე პერსონალი (5%), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები (1%).

დიაგრამა 31 დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა მომდევნო 1 წლის განმავლობაში (ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით)



მოსალოდნელი ზრდის ტემპი (საწარმოთა მიერ მოსალოდნელი ზრდის თაობაზე დასახელებული რაოდენობა/დასაქმებულთა რაოდენობა) საწარმოთა ზომის მიხედვით, ყველაზე მაღალი მცირე ზომის საწარმოებშია - 4%, შემდეგ მოდის საშუალო (2%) და მსხვილი (2%) ზომის საწარმოები. ზრდის ტემპი თბილისში 2%, ხოლო დანარჩენ რეგიონებში 3%-ია.

მომდევნო 1 წლის განმავლობაში ზრდის ტემპი სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება:


სხვა სახის მომსახურება	7%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	5%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	5%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	4%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	4%
მშენებლობა	3%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	3%
განათლება	3%



ხელოვნება, გართობა და დასვენება	3%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	2%
დამამუშავებელი მრეწველობა	2%
ტრანსპორტი და დასაწყობება	2%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	2%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	1%
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1%
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	0%

რაც შეეხება, მომდევნო 1 წლის განმავლობაში ზრდის ტემპს ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, აღნიშნული ასე გამოიყურება:

დიაგრამა 32 ზრდის ტემპი მომდევნო 1 წლის განმავლობაში, ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით




2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, მომდევნო 5 წლის განმავლობაში თანამშრომელთა მოსალოდნელი ზრდის შესახებ დასმულ შეკითხვას დადებითი პასუხი 6,268-მა საწარმომ გასცა, რაც სულ საწარმოთა რაოდენობის 12%-ია. დასაქმებულთა ზრდის მოსალოდნელმა რაოდენობამ კი **51,618** შეადგინა, რაც მთლიანი დასაქმების 6%-ია.

**მომდევნო 5 წლის განმავლობაში** თანამშრომელთა მოსალოდნელი ზრდა (**51,618** დასაქმებული) საწარმოთა ზომის, რეგიონების და ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: **საწარმოთა ზომის** მიხედვით: მსხვილი - 35%, საშუალო - 17%, მცირე - 48%. **რეგიონების** მიხედვით: თბილისი - 66%, დანარჩენი რეგიონები - 34%. **სექტორების** მიხედვით: ვაჭრობა - 22%, განთავსების საშუალებებით

უზრუნველყოფის - 13%, მშენებლობა - 10%, ინფორმაცია და კომუნიკაცია - 9%, დამამუშავებელი მრეწველობა - 8%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 6%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები - 5%, ტრანსპორტი და დასაწყობება - 5%, ჯამურად დანარჩენი სექტორების წილი - 21%.


დიაგრამა 33 მომდევნო 5 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა და მათი განაწილება (საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით)



მომდევნო 5 წლის განმავლობაში, მოსალოდნელი ზრდის შედეგად დასაქმებულების რაოდენობა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: სპეციალისტები - 19%, მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 18%, მენეჯერები - 15%, დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი - 14%, ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 11%, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 9%, ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 8%, ოფისის დამხმარე პერსონალი - 6%, , სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები - 1%.



დიაგრამა 34 მოსალოდნელი ზრდა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (5 წელი)



მომდევნო 5 წლის განმავლობაში მოსალოდნელი ზრდის ტემპი (საწარმოთა მიერ მოსალოდნელი ზრდის თაობაზე დასახელებული რაოდენობა/დასაქმებულთა რაოდენობა) მცირე ზომის საწარმოებში 8%-ს, საშუალო ზომის საწარმოებში 5%-ს, ხოლო მსხვილი ზომის საწარმოებში 5%-ს შეადგენს. მოსალოდნელი ზრდა თბილისა და დანარჩენ რეგიონებში 6-6%-ია.

მომდევნო 5 წლის განმავლობაში მოსალოდნელი ზრდის ტემპი ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით:

სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	13%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	11%
სხვა სახის მომსახურება	11%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	11%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	9%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	8%
მშენებლობა	7%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	7%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	6%
განათლება	5%
R ხელოვნება, გართობა და დასვენება	5%
დამამუშავებელი მრეწველობა	4%
ტრანსპორტი და დასაწყობება	4%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	3%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	2%

წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	2%
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	1%
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1%


ზრდის ტემპი ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით (მოსალოდნელი ზრდა მომდევნო 1 წლის განმავლობაში მინიმუმ 100 დასაქმებული):

	ISCO	ზრდა 1წელი	ზრდის ტემპი
7131	მღებავები და მონათესავე სფეროების მუშები	172	52%
1439	სხვა მომსახურებების მენეჯერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	653	45%
1420	საცალო და საბითუმო ვაჭრობის მენეჯერები	472	33%
7322	მბეჭდავები	79	27%
3135	ლითონის წარმოების პროცესების ოპერატორები	80	20%
9411	სწრაფი კვების კერძების დამამზადებლები	591	17%
2263	შრომის დაცვის და გარემოს სამედიცინო ასპექტების სპეციალისტები	185	17%
3123	მშენებლობის ზედამხედველები	398	16%
3142	სოფლის მეურნეობის სფეროს ტექნიკოსები	81	15%

დასმულ შეკითხვას „აპირებთ თუ არა მომდევნო 1 წლის განმავლობაში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას?“ დადებითი პასუხი საწარმოთა 2%-მა გასცა (851 საწარმო). მომდევნო ერთი წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი შემცირების რაოდენობა კი 936 დასაქმებულია, რომელიც საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორებისა და პროფესიული ჯგუფების მიხედვით ასე ნაწილდება:

- ✓ საწარმოთა ზომის მიხედვით: მსხვილი - 6%, საშუალო - 19%, მცირე - 75%;
- ✓ რეგიონების მიხედვით: თბილისი - 16%, დანარჩენი რეგიონები - 84%;
- ✓ სექტორების მიხედვით: სხვა მომსახურება - 29%, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები - 19%, მშენებლობა - 18%, დამამუშავებელი მრეწველობა - 8%, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები - 7%;
- ✓ ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით: მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 42%, დამწყები კვალიფიკაციის მუშაკები - 14%, სპეციალისტები - 13%, ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 11%, მენეჯერები - 10%, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები - 6%, ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 3%, ოფისის დამხმარე პერსონალი - 1%.


დიაგრამა 35 დასაქმებულთა მოსალოდნელი შემცირება ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით (1 წელი)



მომდევნო 5 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი კლების შესახებ დასმულ შეკითხვას დადებითი პასუხი 365-მა საწარმომ გასცა, რაც სულ საწარმოთა 1%-ია. დასაქმებულთა კლების მოსალოდნელი რაოდენობა კი 1032-ია, რომელიც საწარმოთა ზომის, რეგიონულ, სექტორულ და პროფესიული ჯგუფების მიხედვით ასე ნაწილდება:

- ✓ საწარმოთა ზომის მიხედვით: მსხვილი - 7%, საშუალო - 25%, მცირე - 69%;
- ✓ რეგიონების მიხედვით: თბილისი - 21%, დანარჩენი რეგიონები - 79%;
- ✓ სექტორების მიხედვით: სხვა სახის მომსახურება - 26%, მშენებლობა - 18%, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები - 17%, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები - 8%, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები - 7%;
- ✓ ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით: მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 38%, სპეციალისტები - 16%, დამწყები კვალიფიკაციის მუშები - 13%, ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 12%, მენეჯერები - 10%, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები - 6%, ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 3%, ოფისის დამხმარე პერსონალი - 1%.

დიაგრამა 36 დასაქმებულთა მოსალოდნელი კლება ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით (5 წელი)




## სექცია 5 – სამუშაო ძალის განვითარება

კვლევის შედეგების თანახმად, საკმაოდ დაბალია საწარმოთა ჩართულობა სამუშაო ძალის განვითარებაში. 2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, საწარმოთა რაოდენობამ, რომელთაც დააფინანსეს დასაქმებულთა გადამზადება 1,702 შეადგინა, რაც მთლიან საწარმოთა რაოდენობის 3%-ის ტოლია. აღნიშნული საწარმოები - ზომის, რეგიონულ და სექტორულ ჭრილში ასე ნაწილდება:


- ✓ საწარმოთა ზომის მიხედვით: მსხვილი - 14%, საშუალო - 24%, მცირე - 62%;
- ✓ რეგიონების მიხედვით: თბილისი- 62%, დანარჩენი რეგიონები - 38%;
- ✓ სექტორების მიხედვით: ვაჭრობა - 21%, პროფესიული, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები - 13%, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები - 11%, მშენებლობა - 10%;

დიაგრამა 37 დასაქმებულთა გადამზადებაში ჩართული საწარმოების განაწილება სექტორებისა, რეგიონებისა და საწარმოთა ზომის მიხედვით




საწარმოთა ზომის მიხედვით გადამზადებასთან დაკავშირებული აქტივობების წილი<sup>10</sup> ყველაზე მაღალი მსხვილი ზომის საწარმოებშია - 35%, შემდეგ მოდის საშუალო ზომის საწარმოები - 15%, ბოლოს კი მცირე ზომის საწარმოები - 2%.

დიაგრამა 38 საწარმოების მიერ თანამშრომელთა გადამზადების წილი (საწარმოთა ზომის მიხედვით)



საწარმოთა მიერ თანამშრომელთა გადამზადების წილი თბილისში 8%, ხოლო დანარჩენ რეგიონებში 2%-ია. ეკონომიკური სექტორების მიხედვით გადამზადების ხვედრითი წილი<sup>11</sup> შემდეგნაირად გამოიყურება: ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები - 13%, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება - 10%, განათლება - 9%.

დიაგრამა 39 საწარმოების მიერ თანამშრომელთა გადამზადების წილი (სექტორების მიხედვით)



<sup>10</sup> შესაბამისი ზომის საწარმოთა რაოდენობა, რომელმაც გადაამზადა დასაქმებულები / შესაბამისი ზომის საწარმოთა სრულ რაოდენობასთან


<sup>11</sup> შესაბამისი სექტორში საწარმოთა რაოდენობა, რომელმაც გადაამზადა დასაქმებულები / შესაბამისი სექტორის საწარმოთა სრულ რაოდენობასთან



2024 წელს საწარმოთა მიერ გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობამ **61,331** შეადგინა, რაც მთლიანი დასაქმების 7%-ია. აღნიშნული საწარმოთა ზომის, რეგიონულ და სექტორულ ჭრილში ასე ნაწილდება:

- ✓ საწარმოთა ზომის მიხედვით: მსხვილი - 82%, საშუალო - 12%, მცირე - 6%;
- ✓ რეგიონების მიხედვით: თბილისი - 83%, დანარჩენი რეგიონები - 17%;
- ✓ სექტორების მიხედვით: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 32%, ვაჭრობა - 19%, ჯანდაცვა - 12%, ენერჯეტიკა - 8%, ტრანსპორტი და დასაწყობება - 6%, ინფორმაცია და კომუნიკაცია - 5%.

დიაგრამა 40 გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა (რეგიონის, საწარმოთა ზომის, სექტორების მიხედვით)




**გადამზადებულ თანამშრომელთა წილი<sup>12</sup>** სექტორების მიხედვით ყველაზე მაღალი საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორშია - 44% (19,486 დასაქმებული

<sup>12</sup> დატრენინგებული თანამშრომლები სექტორების მიხედვით/სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა


44,348-დან), შემდეგ მოდის ენერგეტიკა (27%), განათლება (9%), დანარჩენ სექტორებში გადამზადებულთა წილი 8%-ს არ აღემატება.

დიაგრამა 41 გადამზადებულ თანამშრომელთა წილი სექტორების მიხედვით



კვლევის თანახმად, დასაქმებულთა არგადამზადების მიზეზად საწარმოთა 89% ასახელებს რომ - „დასაქმებულებს არ ესაჭიროებათ გადამზადება“, შესაბამისი ფინანსური სახსრების არქონას ასახელებს - 10%.

დიაგრამა 42 დასაქმებულთა არგადამზადების მიზეზები




გადამზადების მხრივ, „შესაბამისი ფინანსური სახსრების არქონა“ პასუხის წილი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი ვაჭრობის სექტორშია (21%), შემდეგ მოდის განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების

მიწოდების საქმიანობები (13%), მშენებლობა (12%), დამამუშავებელი მრეწველობა (10%), ტრანსპორტი და დასაწყობება (7%), სხვა სახის მომსახურება (6%), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები (6%), ჯანდაცვა (5%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (4%), ინფორმაცია და კომუნიკაცია (4%), განათლება (4%), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (3%), ხელოვნება, გართობა და დასვენება (2%), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (2%), სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება (2%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (1%).


საწარმოების მიერ დაფინანსებული ტრენინგების 76% - სპეციალობაში კვალიფიკაციის ამაღლებაზე მოდის, 10% - უცხო ენებზე, 8% - საინფორმაციო ტექნოლოგიებზე.

დიაგრამა 43 დაფინანსებული ტრენინგები სფეროების მიხედვით



თანამშრომელთა შესანარჩუნებლად მოტივაციის გაზრდის მხრივ დამსაქმებლების მხრიდან ყველაზე ფართოდ გამოიყენება: ფულადი ჯილდოს გაცემა (28%) და მადლობის გამოცხადება (25%). თუმცა, ყველაზე დიდია იმ კომპანიების წილი, რომლებიც საერთოდ არ იყენებენ არანაირ მექანიზმს (36%). დაწინაურების მეთოდს მიმართავს საწარმოების 8%, ხოლო ფასიანი საჩუქრის მიცემას - 4%.

დიაგრამა 44 დასაქმებულთა მოტივაციის მექანიზმები



თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის მხრივ დამსაქმებლების მხრიდან განხორციელებული აქტივობების თვალსაზრისით საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგი სურათია: **მცირე ზომის საწარმოების** შემთხვევაში: „არ ვიყენებ არანაირ მექანიზმს“ - 38%, „ფულადი ჯილდოს მიცემა“ - 27%, „მადლობის გამოცხადება“ - 25%, „დაწინაურება“ - 6%, „ფასიანი საჩუქრის მიცემა“ - 4%. **საშუალო ზომის საწარმოების** შემთხვევაში: „ფულადი ჯილდოს მიცემა“ - 37%, „მადლობის გამოცხადება“ - 24%, „დაწინაურება“ - 18%, „არ ვიყენებ არანაირ მექანიზმს“ - 15%, „ფასიანი საჩუქრის მიცემა“ - 6%. **მსხვილი ზომის საწარმოების** შემთხვევაში: „ფულადი ჯილდოს მიცემა“ - 33%, „მადლობის გამოცხადება“ - 27%, „დაწინაურება“ - 27%, „ფასიანი საჩუქრის მიცემა“ - 9%, „არ ვიყენებ არანაირ მექანიზმს“ - 3%.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა, ასევე ქონდათ თუ არა საწარმოებს სტრატეგია/გზამკვლევი თანამშრომელთა გადამზადების მიმართულებით. კვლევის თანახმად, საწარმოთა 19%-ს აქვს თანამშრომელთა გადამზადების სტრატეგია/გზამკვლევი. სტრატეგიის მქონე საწარმოების წილი<sup>13</sup> სექტორების მიხედვით ყველაზე მაღალია განათლების - 42%, შემდეგ მოდის ჯანდაცვის - 41%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების - 34%, ინფორმაცია და კომუნიკაციის - 30% სექტორები.

საწარმოთა ზომის მიხედვით იმ საწარმოთა წილი, რომლებიც ფლობენ თანამშრომელთა გადამზადების სტრატეგია/გზამკვლევს ყველაზე მაღალია მსხვილი ზომის საწარმოებში (59%), შემდეგ მოდის საშუალო - 38% და მცირე ზომის საწარმოები - 17%.

დიაგრამა 45 აქვს თუ არა საწარმოს სტრატეგია/გზამკვლევი თანამშრომელთა გადამზადების მიმართულებით



კვლევის შედეგების მიხედვით, საწარმოთა 58% ფლობს ინფორმაციას „დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს“ სახელმწიფო პროგრამის შესახებ.

<sup>13</sup> საწარმოთა რაოდენობა ვისაც აქვთ გზამკვლევი / საწარმოთა მთლიანი რაოდენობა სექტორში



დიაგრამა 46 ფლობენ თუ არა ინფორმაციას „დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს“ სახელმწიფო პროგრამის შესახებ



„დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს“ სახელმწიფო პროგრამის შესახებ ყველაზე მეტად ინფორმირებულები არიან მსხვილის ზომის საწარმოები (65%), შემდეგ მოდის საშუალო (51%) და მცირე ზომის საწარმოები (41%).

რაც შეეხება რეგიონებს, „დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს“ სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმაციას თბილისში ფლობს საწარმოთა 42%, ხოლო დანარჩენ რეგიონებში საწარმოთა 42%.


## სექცია 6 - პროფესიული განათლება

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების მაჩვენებელი, დამსაქმებელთა დამოკიდებულება პროფესიული სწავლების მიმართ და მათი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ფორმები (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება, პროფესიულ სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობა).

კვლევის თანახმად, გამოკითხული **საწარმოების 27%-ს** (13,845 საწარმო) **ჰყავს პროფესიული განათლების მქონე ადამიანი დასაქმებული** (136,899 ადამიანი).

გამოკითხვის მიხედვით, კითხვაზე „ძირითადად რა სახის განათლებაა საჭირო თქვენ საწარმოში სამუშაოს/საქმის განსახორციელებლად“ პასუხები ასე გადანაწილდა: პროფესიული განათლება - 31%, უმაღლესი განათლება საჭიროდ დასახელდა საწარმოთა - 30%, სრული ზოგადი განათლება - 29%-ში, ხოლო არაფორმალური განათლება - 10%.

დიაგრამა 47 საწარმოში დასაქმებისთვის საჭირო განათლების მიღწეული დონეები



სექტორებს, სადაც **არაფორმალური განათლების საჭიროების წილი** ყველაზე მაღალია, წარმოადგენს: წყალმომარაგება (26%), სოფლის მეურნეობა (22%), შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა (17%), სხვა სახის მომსახურება (17%), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა (12%).

**სრული ზოგადი განათლების** შემთხვევაში, სექტორები, რომელშიც სრული ზოგადი განათლების საჭიროების წილი ყველაზე მაღალია წარმოადგენენ: განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის (12%), ვაჭრობის (40%), დამამუშავებელი მრეწველობის (37%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების (32%), ხელოვნება, გართობა და დასვენების (31%), ტრანსპორტი და დასაწყობების (29%), სოფლის მეურნეობის (28%), სამთომოპოვებითი მრეწველობის (27%) სექტორებს.


**პროფესიული განათლების** საჭიროების წილი ყველაზე მაღალი სხვა სახის მომსახურების სექტორშია (49%). შემდეგ მოდის: მშენებლობა (41%), სამთომოპოვებითი

მრეწველობა (40%), ტრანსპორტი და დასაწყობება (38%), სოფლის მეურნეობა (37%), წყალმომარაგება (37%), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა (36%), დამამუშავებელი მრეწველობა (34%), ენერგეტიკა (34%).

**უმაღლესი განათლების** საჭიროების წილი ყველაზე მაღალი ჯანდაცვის სექტორშია (79%). შემდეგ მოდის: განათლება (76%) პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (75%), საფინანსო (58%), ინფორმაცია და კომუნიკაცია (54%), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (53%).


პროფესიული განათლების მქონე პირების დამსაქმებელი საწარმოების (13,845 საწარმო) წილი საწარმოთა ზომის მიხედვით გვიჩვენებს, რომ მსხვილი ზომის საწარმოთა 61%-ს (სულ 708 მსხვილი საწარმოდან 431 საწარმო) ყავს დასაქმებული შესაბამის პოზიციაზე პროფესიული განათლების მქონე ადამიანი, საშუალო ზომის საწარმოთა 42%-ს, ხოლო მცირე ზომის საწარმოების 26%-ს.

დიაგრამა 48 პროფესიული განათლების მქონე პირთა დამსაქმებელ საწარმოთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით (%)




საწარმოები, რომლებშიც დასაქმებულები არიან პროფესიული განათლების მქონე ადამიანები, ასეთ საწარმოთა მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: ჯანდაცვის (44%) ენერგეტიკის (37%), დამამუშავებელი მრეწველობის (36%) სექტორები.

დიაგრამა 49 პროფესიული განათლების მქონე პირთა დამსაქმებელ საწარმოთა განაწილება სექტორების მიხედვით



2024 წელს შესაბამის პოზიციაზე პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა რაოდენობამ 136,899 შეადგინა, რომელთაგან 49% (66,332 ადამიანი) მსხვილ საწარმოებშია დასაქმებული, 19% (26,382 ადამიანი) საშუალოში, ხოლო 32% (44,184 ადამიანი) მცირეში. რეგიონების მიხედვით მათი გადანაწილება გვიჩვენებს, რომ 54% თბილისზე მოდის, ხოლო 46% დანარჩენ რეგიონებზე.

დიაგრამა 50 პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის, რეგიონის, სექტორების მიხედვით




კვლევის თანახმად, შესაბამის პოზიციაზე დასაქმებული პროფესიული განათლების მქონე პირების განაწილება სექტორების მიხედვით გვიჩვენებს, რომ გამოირჩეულია: ჯანდაცვის (18%), ვაჭრობის (17%), დამამუშავებელი მრეწველობის (15%) და მშენებლობის (11%) სექტორები.



კვლევის ფარგლებში დამსაქმებლებს, ეთხოვათ შეეფასებინათ დასაქმებულები 1-დან 5 ქულამდე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით (სადაც „5“ ნიშნავს - „სრულიად დამაკმაყოფილებელია“, ხოლო „1“ – „საერთოდ არ არის დამაკმაყოფილებელი“). კვლევის თანახმად, იმ საწარმოებში, სადაც დასაქმებულები არიან პროფესიული განათლების მქონე ადამიანები, საწარმოთა 59%-მა 5 ქულით შეაფასა პროფესიული განათლების მქონე ადამიანები. 25%-მა - 4 ქულით, 10%-მა - 3 ქულით, 4%-მა - 2 ქულით, ხოლო 1%-მა 1 ქულით შეაფასა პროფესიული განათლების მქონე ადამიანები.

დიაგრამა 51 პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა შეფასება




კვლევის კიდევ ერთ ამოცანას წარმოადგენდა საწარმოების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის შესწავლა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თანამშრომლობის ტიპების თვალსაზრისით.

განსაკუთრებით **საგულისხმოა, რომ საწარმოების მხოლოდ 3%** (1,471 საწარმო) თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მათგან 69% მცირე ზომის საწარმოა (1,014 საწარმო, რაც არსებული ზომის საწარმოთა 2%-ია), საშუალო ზომის საწარმოები - 17% (246 საწარმო, რაც არსებულ საშუალო ზომის საწარმოთა 9%-ია), ხოლო მსხვილი საწარმოები - 12% (211 საწარმო, რაც სულ არსებული მსხვილი ზომის საწარმოების 30%-ია).

საწარმოები პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის მხრივ თანამშრომლობის 3 ფორმიდან (სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება, პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობის მიღება) ყველაზე ხშირად მიმართავენ **სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზებას** (40%). ამასთან, ფართოდ ადაპტირებულია **სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობის მიღება** (37%) და საწარმოთა მხრიდან **პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში ჩართულობა** (22%).


დიაგრამა 52 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ტიპები



იმ **1,471** საწარმოდან, რომლებიც თანამშრომლობენ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, 36%-მა (530 საწარმო) თანამშრომლობის შედეგად **5,909** ადამიანი დაასაქმა.


პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ფორმატში დასაქმების მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან: საცალო და საბითუმო ვაჭრობის (31%, 1,811 დასაქმებული), ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქმიანობების (13%, 788 დასაქმებული), მშენებლობის (13%, 773 დასაქმებული), სასტუმრო/რესტორნების (10%, 582 დასაქმებული), დამამუშავებელი მრეწველობის (8%, 484 დასაქმებული), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების (6%, 364 დასაქმებული), ტრანსპორტი და დასაწყობების (6%, 345 დასაქმებული) სექტორები. სხვა დანარჩენი სექტორების მიერ დასაქმებულთა მაჩვენებელი ჯამში 13%-ს შეადგენს, რაც 772 დასაქმებულის ტოლია.

დიაგრამა 53 პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ფორმატში დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკურისაქმიანობების სახეების მიხედვით




საწარმოების უმრავლესობა (57%) თვლის, რომ პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულებს გადამზადება არ სჭირდებათ. თითქმის მესამედი (29%) თვლის, რომ გადამზადება მაინც მნიშვნელოვანია, ხოლო 15%-ს არა აქვს პასუხი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დიაგრამა 54 პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულის გადამზადების საჭიროება




საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გამოკითხული საწარმოების მხოლოდ 3% თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, თუმცა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამომავლო თანამშრომლობის სურვილი საწარმოთა 9%-მა გამოთქვა, მზაობა 7%-მა, ხოლო საჭიროება - 3%-მა. თანამშრომლობის სურვილი/მზაობა/საჭიროება არ აქვთ საწარმოთა 51%-ს, „არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა“ - 30%-მა დააფიქსირა.

დიაგრამა 55 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამომავლო თანამშრომლობა



პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის (საჭიროება/ მზაობა/ სურვილი) ფორმები შემდეგნაირად გადანაწილდა - **სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობის მიღება - 40%**, **სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება - 32%**, **პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება - 28%**.


დიაგრამა 56 სამომავლო თანამშრომლობის სასურველი ტიპები




საწარმოთა მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ ცოდნასთან დაკავშირებით, კვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა, რომ საწარმოების **24% სრულიად ენდობა** პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ ცოდნას, **თითქმის ნახევარი (45%)** კი მეტნაკლებად ენდობა. ამასთან, საყურადღებოა, რომ **მიჭირს პასუხის გაცემა** გამოკითხულთა **29%-მა** დააფიქსირა.

ამასთან, პროფესიული სასწავლებლების დონეს გამოკითხულთა 37% დადებითად, 32% საშუალოდ, 2% უარყოფითად აფასებს, ხოლო მიჭირს პასუხის გაცემა გამოკითხულთა 29%-მა დააფიქსირა.

დიაგრამა 57 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სანდოობის შეფასება



საწარმოების 43%-ს სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების ჩადება პრიორიტეტულად პროფესიულ განათლებაში მიაჩნია, 26%-ს უმაღლეს განათლებაში, 13%-ს საშუალო განათლებაში, ხოლო პასუხად „არ ვიცი“ 19%-ის მიერ დაფიქსირდა.



### სექცია 7 - დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა საწარმოებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებაზე ინფორმაციის მოძიება და გაანალიზება. კვლევა სწავლობს უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას სხვადასხვა ჭრილში (მათ შორის საწარმოთა ზომის, რეგიონის, ეკონომიკურ საქმიანობათა სახეებისა და პროფესიული ჯგუფების მიხედვით), ასევე მათი დასაქმების მიზეზებს.

კვლევის შედეგების მიხედვით, 2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით საწარმოთა 7%-ს (3,332 საწარმო) ჰყავს 18,935 უცხო ქვეყნის მოქალაქე დასაქმებული, რაც მთლიანი დასაქმების 2%-ია. საგულისხმოა, რომ 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმება 4%-ით შემცირდა.

უცხო ქვეყნის მოქალაქეები ძირითადად მცირე ზომის საწარმოებში არიან დასაქმებულები (78% მცირე ზომის საწარმო), თუმცა ასევე გვხვდებიან საშუალო (15%) და მსხვილი (7%) ზომის საწარმოებში. რეგიონების მიხედვით საწარმოები, რომლებშიც დასაქმებულები არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, 43% - თბილისში, ხოლო 57% - დანარჩენ რეგიონებში მდებარეობს.


რაც შეეხება საწარმოთა განაწილებას ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით, ამ საწარმოთა 14% ვაჭრობის, 14% სასტუმროებისა და რესტორნების, 9% მშენებლობის, 9% დამამუშავებელი მრეწველობის, 8% ტრანსპორტირებისა და დასაწყობების, 8% ინფორმაცია და კომუნიკაციის, 7% პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური

საქმიანობების, 7% ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების სექტორზე მოდის. დანარჩენი სექტორების ჯამური წილი 26%-ია.

დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა 39% (18,935 დასაქმებული) მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 37% - მცირე, ხოლო 24% - საშუალო ზომის საწარმოებზე.


დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი წილი ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორზე მოდის - 38%. დანარჩენი სექტორების წილი კი ასე გამოიყურება: მშენებლობა - 14%, სასტუმროები/რესტორნები - 7%, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა - 7%, ხელოვნება, გართობა და დასვენება - 7%, ვაჭრობა - 6%, დამამუშავებელი მრეწველობა - 6%.

დიაგრამა 59 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით



დასაქმებულთა განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით შემდეგი სახით გამოიყურება: სპეციალისტები - 35%, მენეჯერები - 25%, ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 9%, ოფისის დამხმარე პერსონალი - 9%, ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 8%, მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 7%, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 4%, დამწყები კვალიფიკაციის მუშები - 3%.


დიაგრამა 60 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



**ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან** დასაქმების მხრივ გამოსარჩევია: პროგრამისტების, მმართველი დირექტორების, ბუკმეკერების, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების შემუშავების სპეციალისტების, გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერების, შენობის კარკასის მშენებლების, სატვირთო ავტომობილების მძღოლების ელემენტარული პროფესიული ჯგუფები. იმ ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან, სადაც მაღალია უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების მაჩვენებელი, 2024 წელს წინა წელთან შედარებით უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმება საგრძნობლად გაიზარდა: შენობის კარკასის მშენებლების (+431%, 01.09.2023 მდგომარეობით - 115 დასაქმებული, 01.09.2024 მდგომარეობით - 612 დასაქმებული), მშენებლობის ზედამხედველების (+208%, 01.09.2023 მდგომარეობით - 82 დასაქმებული, 01.09.2024 მდგომარეობით - 253 დასაქმებული), გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერების (+72%, 01.09.2023 მდგომარეობით - 449 დასაქმებული, 01.09.2024 მდგომარეობით - 773 დასაქმებული) ჯგუფებში.




დიაგრამა 61 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით



უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების ძირითად მიზეზად საწარმოს უცხოელი დამფუძნებელი/მენეჯმენტი (61%) დასახელდა. ამასთან, გამოკითხულთა 9%-ის აზრით უცხო ქვეყნის მოქალაქეები იღებენ დაბალ ანაზღაურებას, 7% - ბაზარზე არ არის საჭირო კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების ადგილობრივი მუშახელი, 6% - საწარმო არის უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი/წარმომადგენლობა.

დიაგრამა 62 უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დასაქმების ძირითადი მიზეზები






საწარმოთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საწარმოებმა რომლებმაც უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაქმების მიზეზად ადგილობრივ ბაზარზე საჭირო კვალიფიკაციის ვერ მოძებნა დაასახელა, ასეთ **ძირითად პროფესიულ ჯგუფებად** დააფიქსირეს: სპეციალისტების (28%), დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორების (20%), მენეჯერების (14%), ხელოსნებისა და მონათესავე სფეროების მუშების (13%), ტექნიკოსებისა და დამხმარე სპეციალისტების (13%) ძირითადი პროფესიული ჯგუფები.

**ელემენტარული პროფესიული ჯგუფების** მიხედვით კი დასახელდა: სატვირთო ავტომობილების მძღოლები (13%), პროგრამისტები (6%), ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები (4%), მზარეულები (3%), ვეტერინარი ექიმები (3%), ვეტერინარიის ტექნიკოსები და დამხმარე პერსონალი (3%), გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები (3%), პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების შემუშავების სპეციალისტები (3%), მეზადეები, სანერგე მეურნეობების მუშაკები (3%), ლითონის მეყალიბეები (3%).

დიაგრამა 63 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები (ადგილობრივ ბაზარზე საჭირო კვალიფიკაციის მქონე საშუალო ძალის არარსებობა)



## სექცია 8 - პირველი სამუშაოს მაძიებლები


კვლევის შედეგებით, 2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ბოლო 1 წლის განმავლობაში საწარმოთა 5%-ს (2,490 საწარმო) ჰყავდა დასაქმებული **27,861** პირველი სამუშაოს მაძიებელი.

პირველი სამუშაოს მაძიებლების დასაქმების მხრივ გამოირჩევა მსხვილი (72%, 19,962 დასაქმებული) ზომის საწარმოები. რაც შეეხება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, მათ მიერ დასაქმებული პირველი სამუშაოს მაძიებლების ხვედრითი წილი შეადგენს შესაბამისად 17% (4,610 დასაქმებული) და 12%-ს (3,290 დასაქმებული).

პირველი სამუშაოს მაძიებლების დასაქმების კუთხით გამოირჩევა ვაჭრობის სექტორი - 30%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების - 24%, ინფორმაცია და კომუნიკაციის - 11%, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის - 10% სექტორები.

პირველი სამუშაოს მაძიებლების დასაქმების მაჩვენებელი განთლების მიღწეული დონის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: უმაღლეს სასწავლებლის დამთავრებით - 41% (11,493 დასაქმებული), საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრებით - 35% (9,816 დასაქმებული) და პროფესიული სასწავლებლის დამთავრებით - 24% (6,552 დასაქმებული).

დიაგრამა 64 პირველი სამუშაოს მაძიებლები განათლების მიღწეული დონის მიხედვით



რაც შეეხება დამსაქმებელთა მხრიდან, დასაქმებულ პირველი სამუშაოს მაძიებლების შეფასებას, კვლევის თანახმად:

- ✓ საშუალო განათლების მქონე დასაქმებულებს დამსაქმებლები აფასებენ: ძალიან კარგად - 19%, კარგად - 30%, საშუალოდ - 47%, ცუდად - 3%, ძალიან ცუდად - 1%.


- ✓ პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულებს დამსაქმებლები აფასებენ: ძალიან კარგად - 12%, კარგად - 53%, საშუალოდ - 30%, ცუდად - 1%, ძალიან ცუდად - 3%.
- ✓ უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულებს დამსაქმებლები აფასებენ: ძალიან კარგად - 28%, კარგად - 38%, საშუალოდ - 26%, ცუდად - 3%, ძალიან ცუდად - 5%.

## სექცია 9 - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება

კვლევის ერთ-ერთი ამოცანაა, იმის შესწავლა თუ რამდენად იყენებენ კომპანიები თანამედროვე ტექნოლოგიებს და როგორია უახლოეს პერიოდში მათი დამოკიდებულება ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით. ტექნოლოგიების გამოყენება და დანერგვა თავის მხრივ მიუთითებს სექტორის განვითარებაზე, კონკურენტუნარიანობასა და მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესაძლო ზრდაზე.

კვლევის შედეგების მიხედვით, **საწარმოთა 10% (5,300 საწარმო)** იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. თანამედროვე ტექნოლოგიების გამომყენებელი საწარმოთა წილი<sup>14</sup> ყველაზე მაღალი მსხვილი ზომის საწარმოებშია (44%), შემდეგ მოდის საშუალო ზომის საწარმოები (26%) და მცირე ზომის საწარმოები (9%).


დიაგრამა 65 საწარმოების წილი, რომლებიც იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს საწარმოთა ზომების მიხედვით



თანამედროვე ტექნოლოგიების **გამომყენებელ საწარმოთა წილი** ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით ყველაზე მაღალი: ვაჭრობის - 18%, ინფორმაცია და კომუნიკაციის - 11%, მშენებლობის - 9%, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების - 9%, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის - 8% სექტორებშია.

<sup>14</sup> საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიების /საწარმოთა რაოდენობა

დიაგრამა 66 საწარმოების წილი, რომლებიც იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით



კვლევის შედეგების მიხედვით, სამომავლოდ თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებას **საწარმოთა 3% (1,312 საწარმო)** გეგმავს. ტექნოლოგიებში სამომავლო ინვესტირების განზრახვის მქონე საწარმოთა წილი ყველაზე მაღალი მსხვილი ზომის საწარმოებშია (16%), შემდეგ მოდის საშუალო ზომის (6%) და მცირე ზომის საწარმოები (2%).

ტექნოლოგიებში სამომავლო ინვესტირების განზრახვის მქონე საწარმოთა წილი სექტორულ ჭრილში შემდეგ სურათს იძლევა: ყველაზე მაღალია განათლებისა (9%) და ინფორმაციისა და კომუნიკაციის (8%) სექტორებში. შემდეგ მოდის: ხელოვნება, გართობა და დასვენების (5%), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის (4%), ჯანდაცვის (4%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (4%) და საფინანსო (4%) სექტორები.

საწარმოები რომლებიც გეგმავენ ტექნოლოგიებში ინვესტიციების განხორციელებას, მათგან 8% ვარაუდობს, რომ ინვესტიციების შედეგად მოთხოვნა გაიზრდება მწმდეგ პროფესიულ ჯგუფებზე: პროგრამისტები, სისტემური ანალიტიკოსები, სოფლის მეურნეობის სფეროს ტექნიკოსები, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომსახურებების მენეჯერები, სოციალური სამუშაოებისა და კონსულტაციების სფეროთა სპეციალისტები, საინფორმაციო და კავშირგაბმულობის ტექნოლოგიების მემონტაჟები და მომსახურე მუშები, რეკლამისა და მარკეტინგის სპეციალისტები, ავტოსატვირთველების ოპერატორები, საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები, გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები.

საწარმოების მცირე ნაწილი (3%) თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირების შედეგად ვარაუდობს შემდეგ პროფესიულ ჯგუფებზე მოთხოვნის შემცირებას:

წარმოების კლერკები, ხორცის, თევზისა და მსგავსი საკვები პროდუქტების გადამამუშავებლები, ხელით მფუთავები, საწყობის კლერკები.

კვლევის თანახმად, თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირების მიმართულებებად დასახელდა: სოციალური მედიის პლატფორმები (11%), მობილური აპლიკაციები (10%), ხელოვნური ინტელექტი (10%), IP (ინტერნეტ პროტოკოლის ტელეფონი) (8%), მზის ენერჯია (7%), ვიდეო კონფერენციის პლატფორმები (6%), BIG DATA ანალიტიკა (5%).

დიაგრამა 67 ტექნოლოგიებში მოსალოდნელი ინვესტიციების სვედრითი წილი

